საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/883
10.09.2024

# ბრძანება

883-01-4-202409101722

**საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ**

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს „საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმა“ თანდართული ფორმით.
2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

# საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმა

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმას 2024 წლისთვის.

დოკუმენტის მიზანია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციასა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონზე დაყრდნობით გამოკვეთოს პირველი რიგის პრიორიტეტები, რომელთა აღსრულებაც, კომპეტენციის ფარგლებში, 2024 წელს უნდა განხორციელდეს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან - რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შშმ პირთა უფლებების დაცვას.

დოკუმენტი შემუშავდა საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) მიერ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კოორდინაციით.

## 1. ამოცანა

2022 წლის განმავლობაში, სააგენტომ შშმ პირთა უფლებების დამცველ ასოციაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში, უზრუნველყო ერთი შშმ პირისთვის პრაქტიკის გატარება იურიდიულ დეპარტამენტში.

2023 წლის განმავლობაში, სააგენტომ უზრუნველყო „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში, მომხმარებლების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ვიდეო-რგოლის შშმ პირთათვის ადაპტირებული ფორმით დამზადება, რომელიც გაეშვა სატელევიზიო და ინტერნეტ სივრცეში და განთავსებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერზე

2024 წლის განმავლობაში, სააგენტო გეგმავს როგორც „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში, მომხმარებლების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული, ასევე „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ვიდეო რგოლების შშმ პირთათვის ადაპტირებული ფორმით დამზადებას, სატელევიზიო და ინტერნეტ სივრცეში გაშვებას და სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერზე განთავსებას.

## 2. ლოგიკური ჩარჩო

<table>
<tr><td>ამოცანა 1.</td><td colspan="4">შშმ პირთა ცნობიერების ამაღლება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებების შესახებ.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.1.</td><td colspan="4">„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში, მომხმარებლების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ვიდეო-რგოლები დამზადდება და სატელევიზიო და ინტერნეტ სივრცეში (ასევე, სააგენტოს ვებ-გვერდზე) განთავსდება შშმ პირებთან ადაპტირებული ფორმით.</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">შედეგის ინდიკატორი:<br>ვიდეო-რგოლები დამზადებულია და განთავსებულია სატელევიზიო და ინტერნეტ სივრცეში (ასევე, სააგენტოს ვებ-გვერდზე) შშმ პირებთან ადაპტირებული ფორმით.</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>პარტნიორი ორგანიზაცია</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>0</td><td>TWINNING-ის პროექტი „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება“</td><td>0</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</td></tr>
</table>